პირველადი გადაუდებელი დახმარება	
ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	First Aid Training
პროგრამის სახე:	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	091 - ჯანდაცვა
პარტნიორები:	
კვალიფიკაციის დონე:	V
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	5
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	12
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	60
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	10
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	15

პროგრამის აღწერა

პროგრამა დაინტერესებულ პირებს შეასწავლის პირველადი გადაუდებელი დახმარების ელემენტებს და განსახორციელებელ ქმედებებს; პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიცირებას; გადაუდებელ დახმარების გაწევას გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს; პირველად გადაუდებელ დახმარების უზრუნველყოფას ტრავმების, სისხლდენების დროს; უბედური შემთხვევების დროს პროცესების მართვის წესებს. პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება. პროგრამის მოცულობა 45 საათია. პროგრამა განხორციელდება 5 კვირის განმავლობაში, კვირეული დატვირთვა 6-12 სთ, პროგრამა განხორციელდება კოლეჯის A და C გარემოში. სწავლებისას გამოყენებული იქნება ვიზუალური მასალა, სხვადასხვა მულაჟები, ინვენტარი, ტექნიკა, მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები, მათ შორის ელექტრონული სწავლების მეთოდიც. პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება გამოკითხვით და პრაქტიკული დავალების მეშვეობით; შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს დანართით.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მსმენელებში პირველი დახმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება.ასევე შეასწავლოს მსმენელებს პირველადი გადაუდებელი დახმარების ალგორითმი, არსი, ექსტრემალურ სიტუაციაში სწორი რეაგირების წესები, რათა შეძლონ დაზარალებულისთვის ადეკვატური პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა
დაშვების წინაპირობები
განათლება: *საშუალო*
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა *გასაუბრება*
სწავლის შედეგები
1. პირველადი დახმარების არსის დახასიათება *2. კრიტიკული მდგომარეობების დახასიათება* *3. გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს გადაუდებელი დახმარება* *4. ტრავმებისა და სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარება* *5. კრიტიკული მდგომარეობისას საკუთარი თავის მართვა*
ლოკაცია
თბილისი *ისანი-სამგორი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი/47-49 ბოჭორმის N8*